

**აქციის
"თემატური პაკეტი „მიქსი 3“ დამატებითი გადასახდელის გარეშე"
პირობები**

1. აქციის "თემატური პაკეტი „მიქსი 3“ დამატებითი გადასახდელის გარეშე" (შემდგომში „აქცია“) ფარგლებში, ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ "ეკონომ", "კომფორტი (new)" და "პრემიუმ +" პაკეტებით, შეძლებენ ისარგებლონ თემატური პაკეტით "მიქსი 3" 2020 წლის 1 ნოემბრამდე სააბონენტო გადასახდელის გარეშე.
2. აქციის აქტივაცია მოხდება ავტომატურად, 2020 წლის 3 სექტემბერს და გაუაქტიურდებათ იმ აბონენტებს, რომლებსაც აღნიშნულ თარიღში გააქტიურებული ექნებათ ტვ პაკეტი "ეკონომ", "კომფორტი (new)" ან "პრემიუმ +".
3. აქციის ავტომატურად აქტივაცია მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აქციის აქტივაციის მომენტისთვის, აბონენტის სარგებლობაში არსებული სილქ ტვ მომსახურება არის აქტიური (არ არის დროებით შეჩერებული ან შეზღუდული დავალიანების გადაუხდელობის გამო) და აბონენტს არ აქვს დაფიქსირებული უარი აქციის ავტომატურ გააქტიურებაზე.
4. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტისთვის აქციის ავტომატური აქტივაციიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე.
5. აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ უარი განაცხადონ აქციის პირობებით სარგებლობაზე. ამისათვის აბონენტმა უნდა გააუქმოს თემატური პაკეტი "მიქსი 3". ამასთან, სურვილის შემთხვევაში აბონენტს არ ეზღუდება აღნიშნული თემატური პაკეტის სტანდარტული პირობებით აქტივაცია. აქციაზე უარის შემთხვევაში აბონენტებს ეზღუდებათ ხელმეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა.
6. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვისას, აბონენტებს, რომლებიც აქციის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ არ გაიუქმებენ აქციით გააქტიურებულ თემატურ პაკეტს „მიქსი 3“, შეუწარმენდება თემატური პაკეტი და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება (აღნიშნულის თაობაზე აბონენტებს აქციის დასრულებამდე წინასწარ ეცნობება სმს შეტყობინებით).
7. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება აქციაში ჩართული მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა.
8. მომსახურებების დროებით შეჩერების პერიოდში, აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას. დროებით შეჩერებული მომსახურების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება აქციის პირობები (თუ არ არის ამოწურული აქციის მოქმედების ვადა).
9. აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტს არ ეზღუდება სატარიფო გეგმის ცვლილების შესაძლებლობა. სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტის სხვა პაკეტით ცვლილებისას, აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.
10. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია არ გადაყვება ახალ მისამართზე. მისამართის ცვლილებისას აქცია შეწყდება.

მომსახურების ტარიფები	
პაკეტის „მიქსი 3“ სტანდარტული ღირებულება	აქციის ფარგლებში განსაზღვრული ღირებულება
3 ლარი	გადასახდელის გარეშე